შშმ პირთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა და სისტემური გარანტიების შექმნა სამოქმედო გეგმა

2022 წელს განხორციელებული აქტივობები

2022 წელს, პროექტ „ლოგ-ინ ჯორჯიას'' ფარგლებში, მომზადდა კანონპროექტი უნივერსალური მომსახურების თაობაზე ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის (2018/1972 დირექტივის) შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც ასევე, მოიცავს **შშმ პირების ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურებებზე წვდომის უზრუნველყოფის მიმართულებას.**

ამასთან, 2022 წელს, განახლდა (ადაპტირება მოხდა მხედველობა-დაქვეითებულებისთვის) ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებგვერდი - **https://georgia.travel/, მომზადდა offline დემო ვერსია, სადაც ინტეგრირებულია შშმ პირთათვის ფუნქციონალი.** საიტი ლაივ რეჟიმში გაეშვება 2023 მარტის დასაწყისში. ასევე, აღსანიშნავია, რომ „ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ" განაახლა "საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025", რომელშიც ერთ-ერთი სტრატეგიული მიზნის რეკომენდაციები ეხება ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების განვითარების პროცესში შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებას.

2022 წელს, სსიპ ,,სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ'' საქართველოს აეროპორტებში ჩაატარა **შშმ პირთა უფლებების დაცვის მონიტორინგი - ექვსივე აეროპორტის ინსპექტირება.** მონიტორინგის ფარგლებში, მოწმდება აეროპორტების სამგზავრო ტერმინალის აღჭურვილობა, შშმ პირების მიღების ადგილების მონიშვნა, შშმ პირების სავარძლების, სპეც. ავტოტრანსპორტის მდგომარეობა, პერსონალის მომზადება შშმ პირების მომსახურებისათვის და სამგზავრო ტერმინალის ადაპტირება შშმ პირებზე. აღნიშნული აეროპორტები აკმაყოფილებენ არსებულ სტანდარტებს.

ასევე, 2022 წელს, სს „საქართველოს რკინიგზის" მიერ გაიხსნა **რეაბილიტირებული სადგური კოპიტნარი, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებზე.**

ცნობიერების ამაღლებისა და შშმ პირთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა **ტრენინგები** შემდეგი მიმართულებებით:

- 2022 წლის სექტემბრის თვეში სსიპ „ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ" ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთათის და დასაქმების მსურველთათვის ჩატარა ტრენინგი **"„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტურისტული სერვისები - მომსახურება და უსაფრთხოება", სადაც ჯამში გადამზადდა 420-მდე ადამიანი.**
- 2022 წელს, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" მიერ, შშმ პირების მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა **საჭიროების კვლევა,** რომლის შედეგადაც, იგეგმება სააგენტოს თანამშრომელთათვის ტრენინგის ჩატარება 2023 წლის II კვარტალში.

- 2022 წელს, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მიერ, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, მესტიისა და ამბროლაურის ადგილობრივ აეროპორტებში **შშმ პირთა მომსახურების ტრენინგით გადამზადებულია სამივე აეროპორტის ყველა შესაბამისი კადრი (47 თანამშრომელი).**
- 2022 წელს, სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ“ განახორციელა საქართველოს დროშის ქვეშ რეგისტრირებულ **შიდა ნაოსნობის სამგზავრო/სასეირნო გემებზე შშმ პირებისთვის ადაპტირების და საგანგებო სიტუაციებში დახმარების ტრენინგ პროგრამა** - "სამგზავრო/სასეირნო გემებზე შშმ პირთა მომსახურების მიმწოდებელი პერსონალის ტრენინგი / Training for Personnel Providing Service to Persons of Reduced Mobility on Domestic Passanger/Leisure Ships". ტრეინინგს ესწრებოდა სასეირნო დანიშნულების სამგზავრო გემებზე დასაქმებული ეკიპაჟის ყველა წარმომადგენელი -15 ადამიანი.

დამატებით, ასევე, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 17-18 დეკემბერს, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ფაბლაბ ტექნოპარკის, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის, ინოვაციური განათლების ფონდისა და “Smart Digita”-ის ორგანიზებით, კასპის ტექნოპარკში, ჩატარდა **ჰაკათონი - ტექნოლოგიები შესაძლებლობებისთვის, რომელიც მიზნად ისახავდა შშმ პირებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ელემენტების დანერგვას.**

პროექტის ფარგლებში, მონაწილეები გაეცნენ იმ გამოწვევებს, რომელსაც შშმ პირები ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან და შესაძლებლობა ჰქონდათ კასპის ტექნოპარკში ორი დღის განმავლობაში ემუშავათ პრობლემ(ებ)ის გადაჭრის გზებზე.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები შემდეგი მიმართულებით:

- ✓ შშმ პირთა უფლებები და გამოწვევები;
- ✓ ტექნოლოგიური შესაძლებლობები;
- ✓ პროდუქტის ბაზართან თავსებადობა, პოზიციონირება და კონკურენტული უპირატესობის მოპოვება;
- ✓ ბიზნეს მოდელი (Canva).

პროექტის დასასრულს, 15 გუნდმა წარადგინა იდეები და პროტოტიპები, რომლის თემატიკა იყო შშმ პირებისთვის ინოვაციური და ტექნოლოგიური გზით, ყოველდღიური გამოწვევების აღმოფხვრა. გამარჯვებული გუნდი" M F T " - 5000 ლარიანი გრანტის მფლობელი გახდა, რომლებმაც შექმნეს შშმ პირებისთვის, კერძოდ პარალიზებული ადამიანებისთვის ენით სამართავი მაუსი.